



რა მოხდება ხმა რომ ამოვიღოთ?

მინდა ვინმეს მაინც გადავცე ის, რაც ჩვენ გარშემო სინამდვილეში ხდება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



ჩვენ კი არ გვესმის, არ ვხედავთ და არ გვინდა, რომ შევაჩეროთ.

ეს არ გახლავთ, მხოლოდ ის სოფელი, სადაც ცხოვრებისთვის ელემენტარული პირობები არ არსებობს, სადაც მხოლოდ „ცალსახურავით“ არის პატარა სახლი გადახურული და სავსეა ხმაურიანი, სასტიკი ისტორიით. სადაც მხოლოდ ერთი დაშლილი ტახტი და მოგონებებით გაუღენთილი, სიძველისგან დაღლილი კარადები დგას...

ეს ის ადგილია სადაც ქმარმა 29 წლის ცოლს, 8 შვილის დედას, სასიკვდილო ჭრილობა ჯერ ცულით მიაყენა, შემდეგ კი ყელი გამოჭრა.

ეს ის ტახტია, სადაც დედას პატარა გოგონა დასცქეროდა და ადგომას თხოვდა, ვინაიდან მისი უჩვეულო მდგომარეობა ვერ გაეთავისებინა.

ეს ის ადგილია, სადაც ქმარმა თავი ჩამოიხრჩო...

რთული წასაკითხია, არა?

მაგრამ აუცილებლად უნდა გიაშბოთ, უნდა ვილაპარაკო არამართო მე, არამედ ყველამ, ვისაც ეს თემა აწუხებს ან ჯერ არ აწუხებს. უნდა ვილაპარაკოთ ხმამაღლა, რომ ასეთი საზარელი ტრაგედიები აღარ ტრიალებდეს და ჩვენც, ჩვენი უმოქმედობით ამ ისტორიების ნაწილი არ გავხდეთ.

ფილმის გადაღებები მაისში დავიწყებ... მალე დასრულდება და ამბებს თავად მოგიყვებათ... ალბათ დაგროვილ კითხვებსაც გასცემს პასუხს...

გადაღებების დროს თითოეული გოგონას დედის, ძმის, მეგობრის, შვილის თვალები არ გამოდის მუხსიერებიდან...

არც ის, რომ სამართალდამცავ ორგანოებს არაერთხელ მიმართეს; არც ის, რომ სოციალური მდგომარეობა არ უწყობდათ ხელს და დამოუკიდებლად ვერ იცხოვრებდნენ; არც ის, არც ის, არც ის...

რა მოხდება ხმა, რომ ამოვიღოთ მაშინ როდესაც ოჯახში ძალადობის ფაქტს აქვს ადგილი...

რა მოხდება, რომ დავრეკოთ?

რა მოხდება, რომ არ მოვითმინოთ?

არ განვსაჯოთ?

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



არ ვთქვით ჩემი საქმე არ არის?

არ ვთქვით - ღირსია!

არ ვცემთ მთელი სოფლის წინაშე;

არ მივიყვანოთ თვითმკვლელობამდე ჩვენი განსჯით;

წამოვედით სოფელი ოჩხამურიდან, ჩვენი სტუმრობა ამ სოფელში დიდი ხნის განმავლობაში არ დაავიწყდებათ. ეს ტრაგედიაც კიდევ ერთხელ, ავტომატურად მოკლული ქალების სტატისტიკას მიეთვლება...

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად 2014 წელს 19 ქალია მოკლული ქმრის, ყოფილი ქმრის, პარტნიორის ან ყოფილი პარტნიორის მიერ, თუმცა შესაძლოა ეს რიცხვი გაცილებით მეტი იყოს.

რა მოხდება ხმა რომ ამოვიღოთ?

ფილმი და კვლევა, რომელსაც საია ამზადებს მიზნად ისახავს სახელმწიფო უწყებებსა და საზოგადოებას შორის ცნობიერების ამაღლებას ქალთა მკვლელობების (ფემიციდის) პრობლემის სიღრმისეული გააზრებასა და აღმოფხვრას.

ნათია ქანთარია

საიას საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი